ფსიქოლოგიური კეთილდღეობა ხანდაზმულ ასაკში

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

მარიამ ბოლქვაძე

სამაგისტრო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

20 ივნისი, 2024 წელი

აბსტრაქტი

ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის რაოდენობა მსოფლიო მასშტაბით უფრო და უფრო მატულობს და შესაბამისად, ცხოვრების ამ ეტაპთან დაკავშირებულ საკითხებზე ფიქრი და მსჯელობაც უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ისევე როგორც ცხოვრების ადრეულ ეტაპებზე, ფსიქოლოგიური კეთილდღეობის შენარჩუნებაზე ზრუნვა ხანდაზმულ ასაკშიც მნიშვნელოვანია. თუმცა რას მოიცავს კონკრეტულად ფსიქოლოგიური კეთილდღეობა და რა არის ის ფაქტორები, რაც ხანდაზმულ ასაკში ადამიანთა ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას განსაზღვრავს? სწორედ ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემას ისახავდა მიზნად ჩატარებული თვისებრივი კვლევა, რომელშიც თბილისში მცხოვრები 5 ხანდაზმული ადამიანი იღებდა მონაწილეობას. ფსიქოლოგიური კეთილდღეობა სუბიექტური და მრავალგანზომილებიანი ცნებაა, ამ კვლევის ფარგლებში კი ამ ცნების განსამარტად კაროლ რიფის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მოდელი გამოვიყენე, რომელიც მას ეუდაიმონისტურად განმარტავს და 6 ფაქტორს გამოყოფს, ესენია: ავტონომია, გარემოს ფლობა, პიროვნული ზრდა, პოზიტიური ურთიერთობები, ცხოვრებისეული მიზანი და საკუთარი თავის მიღება.

გამომდინარე იქიდან, რომ ფსიქოლოგიური კეთილდღეობის შინაარსი როგორც ინდივიდუალური ფაქტორებით, ასევე არსებული კონტექსტითაც შეიძლება განისაზღვრებოდეს, ჩატარებული კვლევის მიზანი, ერთი მხრივ, იყო ის, რომ გამეგო, თუ რა არის ქართველი ხანდაზმულების აზრით, ის ფაქტორები, რაც მათ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას განსაზღვრავს და როგორ უკავშირდება კაროლ რიფის მიერ გამოყოფილ ფაქტორებს, ხოლო, მეორე მხრივ, ის, თუ რა ფორმით არსებობს კაროლ რიფის მიერ გამოყოფილი ფაქტორები მათ ცხოვრებაში. ჩატარებულმა ინტერვიუებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მრავალგანზომილებიანი ხასიათი, რადგან რესპოდენტები არაერთ ფაქტორს უსვამდნენ ხაზს, როგორებიც იყო: ოჯახის წევრების კეთილდღეობა და

მათთან კარგი ურთიერთობა, კარგი ურთიერთობა ადამიანებთან, ჯანმრთელად ყოფნა, დამოუკიდებლობის შენარჩუნების სურვილი და აქტიურად ყოფნა, ცხოვრებისადმი დამოკიდებულება, კარგი შვილებისა და შვილიშვილების აღზრდა, ფინანსური კეთილდღეობა, ბედნიერი ბავშვობა და ახალგაზრდობა და საზოგადო კეთილდღეობა და სამართლიანობა.

ოჯახის წევრებთან და სხვა ადამიანებთან კარგი ურთიერთობა, დამოუკიდებლობის შენარჩუნების სურვილი და აქტიურად ყოფნა ის საკითხები იყო, რომელთა მნიშვნელობაც როგორც კაროლ რიფის მოდელში, ასევე ქართველი ხანდაზმულების მიერაც იყო ხაზგასმული, თუმცა ამასთან ერთად, გამოვლინდა ისეთი საკითხებიც, რომლებიც მოცემულ მოდელში არ ყოფილა ნახსენები. შედეგები აჩვენებდა იმასაც, თუ რა ფორმას შეიძლება იძენდეს თითოეული ფაქტორი კონკრეტულ კონტექსტში და როგორ შეიძლება ეს ფაქტორები ინდივიდუალურ დონეზე განსხვავდებოდეს.

Abstract

The number of elderly people worldwide is increasing, making it more important to think about and discuss issues related to this stage of life. Just as in the early stages of life, maintaining psychological well-being in old age is crucial. But what exactly does psychological well-being include, and what factors determine it in old age? The purpose of this qualitative study was to answer these questions, involving five elderly people living in Tbilisi. Psychological well-being is a subjective and multidimensional concept, and for this study, I used Carol Ryff's model of psychological well-being to explain it.

Given that psychological well-being can be influenced by individual factors and the broader context, the research aimed to discover what Georgian elderly people believe are the factors determining their psychological well-being and how these factors relate to those identified by Carol Ryff. Additionally, the study explored how the factors identified by Ryff manifest in their lives. The interviews confirmed the multidimensional nature of psychological well-being, as the elderly participants emphasized various factors such as the well-being of family members and good relations with them, good relations with others, health, the desire to maintain independence and stay active, attitude toward life, raising good children and grandchildren, financial well-being, a happy childhood and youth, and social well-being and justice.

Good relations with family members and others, the desire to maintain independence, and staying active were highlighted both in Ryff's model and by the Georgian elderly participants. However, there were also factors not mentioned in Ryff's model. Additionally, the results illustrated how each factor might manifest in a specific context and how these factors might vary at the individual level.

მადლობა

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ნინო სხირტლაძეს, რომელიც მთელი მუშაობის პროცესში მიწევდა მნიშვნელოვან დახმარებას - საჭირო დროს მინიშნავდა შეხვედრებს, მაწვდიდა უკუკავშირს და მაძლევდა რჩევებს, რომელთა გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ნაშრომზე მუშაობა.

მინდა ასევე მადლობა გადავუხადო ჩემს ბებიას, რომელთან ურთიერთობაც ჩემი ამ საკითხით დაინტერესების მთავარი მიზეზი გახდა და ყველა იმ ადამიანს, ვინც პირდაპირ, თუ ირიბად ხელი შემიწყო ამ საკითხზე ინფორმაციის მიღებასა და მეტად დაფიქრებაში და შემდგომ, კვლევის პროცესში, საკვლევი თემატიკის უკეთ ჩამოყალიბებასა და გამართვაში.

ბოლოს კი მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს რესპოდენტებს კვლევაში მონაწილეობისა და ძალიან საინტერესო საუბრებისთვის, რომელთა განმავლობაში ისინი დაუზარლად მიზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებებსა და ფიქრებს, რაც ძალიან ღირებული იყო როგორც კვლევის, ასევე პირადად ჩემთვისაც.